



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 4

„27“ „03“ 2019 წ.

**დადგენილება № 8**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსი“ ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 23 ოქტომბრის N65 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსი“
3. დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 15 აპრილიდან.
4. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს ყველა სამსახურს.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებალიშვილის ქ. N62

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი



ლავრენტი ჩიბურდანიძე